პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი

№ 19 (1189) | ხუთშაბათი, 13 თებერვალი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.



ლენინგრადის მახლობლად დაბა კოვგოლოვოში ამას წინათ დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა სათხილამურო ორჭიდში.

ს უ რ ა თ ზ ე: სპორტის ოსტატი ნ. გუსაკოვი, რომელმაც 15 კილომეტრზე რბენაში აჩვენა საუკეთესო დრო — 54 წუთი და 30 წამი.

ფოტო ვ. გორელოვისა





ნიჩბოსნობამ ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლების მანძილზე დიდი გავრცელება ჰპოვა. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს ნიჩბოსნებმა დაიკავეს საერთო მეხუთე ადგილი, ხოლო გასულ წელს ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკათა სპარტაკიადაზე პირველობა მოიპოვეს.

თბილისელი ნიჩბოსნები სარგებლობენ კარგი ამინდით და ენერგიულად ემზადებიან მომავალი სეზონისათვის. მტკვარზე ყოველდღე მიმდინარეობს გაცხოველებული წვრთნა.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (ზევით) მწვრთნელი ი. ჩხაიძე მეცადინეობს ახალგაზრდობის სპორტული სკოლის სპორტსმენებთან. (ქვევით) განათლების განყოფილების ნორჩი ნიჩბოსნები წვრთნის დროს.

## თხილამურებში მსოფლიო პირველობის წინ

სათხილამურო სპორტში მსოფლიო პირველობის მონაწილე ქვეყნები გაცხოველებით ემზადებიან ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის. ნაყოფიერ წვრთნას გადიან ფინელი სპორტსმენები. აქ ამ დღეებში დაიწყება ორჭიდელთა და ტრამპლინიდან მხტომელთა შესარჩევი შეჯიბრება უძლიერესი სპორტსმენის გამოსავლინებლად. ეს ღონისძიება იმითაცაა საინტერესო, რომ მას მოემსახურება მსოფლიო პირველობის მომსახურე ტექნიკური აპარატი, რომელიც 1.100 კაცს აერთიანებს.

აქ უკვე დაიწყეს ჩამოსვლა მსოფლიო პირველობის მონაწილე სპორტსმენებმა. მათ შორის არიან კანადის გუნდის 4 წევრი, რომლებიც თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. საქმე ამაშია, რომ 3 მათგანი წარმოშობით ფინელია. ამ დღეებში აქ მოელიან სპორტსმენებს შვეიცარიიდან ფინელი მწვრთნელის ჰეიკი ლუომას ხელმძღვანელობით. მალე ჩამოვლენ გერმანელი მოთხილამურეებიც.

სათხილამურო სპორტის ფინელ მოყვარულებს გადაწყვეტილი აქვთ მსოფლიო პირველობას მიუძღვნან მასობრივი შეჯიბრებები. მოეწყობა ვარსკვლავასებური ესტაფეტა, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მსურველს.

თებერვლის პირველ რიცხვებში ფინეთის დედაქალაქის მცხოვრებლების ყურადღება მიიქცია ერთმა 45 წლის სპორტსმენმა, პროფესიით მჭედელმა, რომელსაც გულზე გაკეთებული ჰქონდა წარწერა — ჰელსინკი-ოულუ-ლახტი. გამოირკვა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს მარტო გაემგზავროს მსოფლიო პირველობისადმი მიძღვნილ ლაშქრობაში, გაიაროს 2.200 კილომეტრი და ლახტში დაბრუნდეს პირველობის გახსნის დღეს.

## საბჭოთა ფეხბურთის 60 წელი

მიმდინარე წელს საბჭოთა ფეხბურთს 60 წელი უსრულდება. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოიწონა ფეხბურთის საკავშირო სექციის გეგმა საიუბილეო დღესასწაულის ჩატარების შესახებ, რომლის მიხედვით მთელი წლის განმავლობაში ქალაქებში ფიზკულტურულ კოლექტივებში მოეწყობა ფეხბურთელთა კრებები, ვეტერანებთან შეხვედრები. მარტში გამოიცემა წიგნი „საბჭოთა ფეხბურთის 60 წელი". კულტურის სამინისტრო გამოუშვებს კინოფილმებს, რომლებიც მიეძღვნება ამ დღესასწაულს. ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა გადაწყვიტა დააწესოს სპეციალური ჯილდო „ა" კლასის გუნდისათვის, რომელიც ყველაზე მეტ შეხვედრას მოიგებს საკავშირო პირველობაში. 1958 წლის 17 მაისს მოსკოვში გაიმართება ფეხბურთის საკავშირო სექციის საიუბილეო პლენუმი, რომელზეც მიწვეულ იქნებიან ძველი სპორტსმენები, მწვრთნელები, საზოგადოებრივი მუშაკები, დაწესდება სამკერდე ნიშანი — „საბჭოთა ფეხბურთის 60 წელი".

## 83 მეტრი

გორკის დიდ ტრამპლინზე გაიმართა ოლქის ზამთრის სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება. დიდ წარმატებას მიაღწია გორკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა იური კნიაზევმა, რომელიც გადახტა 83 მეტრზე. ეს შედეგი ჩვენი ქვეყნის ტრამპლინებზე ნაჩვენებ ყველა მიღწევაზე უკეთესია.

## სპორტული ცხოვრების მთავარი ბირთვი

სტუდენტობა ჩვენი სიამაყეა. დღევანდელი სტუდენტი ხვალ ინჟინერია, ფილოლოგი, გეოგრაფი გეოლოგი და სხვ. ხუთი ან ოთხი წლის განმავლობაში ახალგაზრდა ეუფლება მის მიერ არჩეულ მეცნიერებას და შემდეგ გადის ცხოვრების დიდ გზაზე, იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას, შემოქმედებით შრომას. სტუდენტობის ხანა ყველასათვის ტკბილად მოსაგონებელი, დაუვიწყარი ხანაა.

საბჭოთა სტუდენტობა გარემოსილია ხალხის, პარტიისა და მთავრობის მამობრივი მზრუნველობით იმისათვის, რომ უმაღლესი სასწავლებლის კედლებში ახალგაზრდამ მიიღოს სათანადო განათლება, პრაქტიკული ცოდნა და ფიზიკურადაც გამოიწრთოს. ამ უკანასკნელ ფაქტორს უდიდესი ყურადღება ენიჭება, ვინაიდან ფიზიკური სრულყოფის გარეშე სტუდენტს მეტად გაუჭირდება იმ დიდი აკადემიური დატვირთვის ატანა, რომელსაც იგი სწავლის პროცესში იღებს. სწორედ ამიტომ უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებზე თავმოყრილია მწვრთნელთა და მასწავლებელთა საუკეთესო ძალები.

დედაქალაქისა და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობის თითქმის 80 პროცენტი, მრავალი ოსტატი და პირველთანრიგოსანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა სპორტსა და სწავლას ნაყოფიერად ათავსებს და იმის მიუხედავად, რომ სულ ხშირად სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებით არიან დაკავებულნი, მოწინავე სტუდენტთა რიგებში დგანან. ეს პირველ რიგში უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სპორტისადმი გულისხმიერი მოპყრობისა და დიდი დახმარების შედეგია. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს, როგორ მიმდინარეობს უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა და საერთოდ სპორტული მუშაობა.

სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში შესამჩნევია, რომ უმაღლესი სასწავლებლები ამა თუ იმ შეჯიბრებაში სრული გუნდით არ გამოდიან ან სრულიადაც არ მონაწილეობენ. ისიც შესამჩნევია, რომ ზოგი მაღალკვალიფიციური სპორტსმენი უმაღლეს სასწავლებელში შესვლის შემდეგ მისდამი მოთხოვნილობის შესუსტების გამო ველარ ასრულებს სათანადო ნორმებს ან სრულებით თავს ანებებს სპორტს. კათედრები უფრო ხშირად აკადემიური საათების ჩატარებით კმაყოფილდებიან და სექციების მუშაობასა და მაღალი თანრიგის სპორტსმენთა აღზრდაზე არ ზრუნავენ. ზოგიერთ ინსტიტუტს სრულებით არა აქვს ბაზა. სამედიცინო ინსტიტუტი წელიწადში 140 ათას მანეთს იხდის სპორტული ბაზების იჯარაზე. ასე გრძელდება წლობით. ხომ შესაძლებელი იყო ამ ფულის ნახევარით კომბინირებული მოედნის მოწყობა? შეიძლებოდა. მაგრამ აუტკივარი თავის ატკივებას ერიდებიან. უკვე მეათე წელიწადია, რაც პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული დარბაზი შენდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად უცნაური ფაქტი. თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში შექმნილია მაგიდის ჩოგბურთის სექცია და ჭიდაობისა კი არა. აი, სწორედ ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ბევრი კათედრა საქმის კურსში არ არის, არ იცის სპორტის რომელ სახეობაზე გაამახვილოს ყურადღება და თოლი გზით სვლას ამჯობინებს. შორს რომ არ წავიდეთ, ძალოსნობა თბილისის სამ თუ ოთხ უმაღლეს სასწავლებელშია ასე თუ ისე განვითარებული (სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ფიზკულტურის ინსტიტუტი და სხვ). უცხო ენათა, პედაგოგიური, ზოოვეტერინარული, თეატრალური, რკინიგზის ინჟინერთა და სხვა ინსტიტუტებში ეს მეტად საჭირო სპორტის სახეობა სამარცხვინოდ ჩამორჩება.

ინსტიტუტებში სასწავლო-სპორტული მუშაობის დაბალი დონის შესახებ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს 500 კაციან სპორტულ დელეგაციაში შედიოდნენ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტიდან 4 კაცი, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტიდან — 3, ხოლო სამედიცინო ინსტიტუტიდან 1 სპორტსმენი.

სპორტული ცხოვრება უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებით უნდა ჩქეფდეს. სტუდენტთა ფიზიკური გამოწრთობა, მათი სპორტულად დაოსტატება სახელმწიფოებრივი საქმეა, ეს კარგად უნდა დავიხსომოთ და ამ დევიზით ვიმუშაოთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ უმაღლეს სასწავლებელში შესულმა სპორტსმენმა გული აიცრუოს სპორტზე. ამისათვის მათი მარტო აღრიცხვაზე აყვანა და სექციებში ჩაბმა კი არ კმარა, საჭიროა მათი საქმიანობის სისტემატური კონტროლი და მათთან მუშაობა, მუშაობა არა მარტო სპორტული დონის, არამედ იდეური დონის ამაღლებაშიც, რადგანაც, როგორც ამ უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, ზოგიერთი სტუდენტი აცდა სწორ გზას. სამწუხაროდ, მათ შორის არიან სპორტსმენი სტუდენტებიც.

მიმდინარე წელს თბილისში მეტად მნიშვნელოვანი საკავშირო ღონისძიება ტარდება. ეს არის სტუდენტთა საკავშირო თამაშების ამიერკავკასიის ზონა. მონაწილეობენ სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და მოლდავეთის რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლების გუნდები, რომლებმაც თავიანთი რესპუბლიკების სტუდენტთა თამაშებში უძლიერესის სახელი მოიპოვეს. თბილისში გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს კიევში გამართულ სტუდენტთა საკავშირო თამაშებში.

ამ ღონისძიებებში მონაწილეობა და საპატიო ადგილზე გამოსვლა არა მარტო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრების საქმეა, არამედ უმაღლესი სასწავლებლების დირექციებისა და იმ უწყებებისა, რომლებშიაც ისინი შედიან. ამიტომ კარგი იქნება, თუ ახლავე ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩამოყალიბდება საორგანიზაციო კომისიები, რომლებიც უშუალოდ უხელმძღვანელებენ ამ საქმეს.

სტუდენტთა სპორტი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების მთავარი ბირთვია. ამიტომ ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს შევასუსტოთ მისდამი ყურადღება.

## ჩატარდება ბუქარესტში

ხარკოვში, „დინამოს" სპორტულ დარბაზში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოფარიკავეთა შერჩევითი შეჯიბრება. ამ ღონისძიებას უნდა გამოევლინებინა უძლიერესი სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიო პირველობაში, რომელიც გაიმართება აპრილის პირველ რიცხვებში, ბუქარესტში.

რაპირისტ ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადელმა ვ. პალინმა. მეორე ადგილზეა თბილისელი ი. ოსიპოვი, მესამეზე — ვ. ჟდანოვიჩი. ესპადრონით ბრძოლაში ყველას აჯობა მოსკოველმა ი. მავლუხანოვმა, რაპირისტ ქალთა შორის უძლიერესის სახელი მიეკუთვნა სარატოველ სტუდენტს ვ. პრუდსკოვას. დაშნით ბრძოლაში პირველი ადგილი დაიკავა კიეველმა ვ. ლემკემ, მეორე იყო რიგელი ბ. ხაბაროვი, მესამე თბილისელი გ. კოსტავა.



ეს სურათები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ა. ვართანოვმა ქობულეთის რაიონიდან ჩამოგვიტანა. მარცხნივ ზევით თქვენ ხედავთ ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჭიდაობის სექციის მეცადინეობას. სექციას ხელმძღვანელობს სპორტის ოსტატი ჯ. მანელიშვილი (მარჯვნივ).

ქვედა სურათი გადმოგვცემს მახინჯაურის სანატორიუმის სპორტულ მოედანზე ფრენბურთის თამაშის მომენტს.



# მისაბაძი ვალდებულებები

როგორც ცნობილია, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდი 1957 წლის პირველობაზე საკმაოდ სუსტად გამოვიდა. წელს საბჭოთა კავშირის პირველობა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს შორის მოეწყობა თბილისში 10-დან 17 სექტემბრამდე. ჩვენს რესპუბლიკაში მძლეოსნობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის და წინამდებარე შეჯიბრებაში ხარისხიანად გამოსვლისათვის მწვრთნელებმა აიღეს ვალდებულება აღნიშნული შეჯიბრებისათვის სპორტის ოსტატებისა და პირველთანრიგოსნების მოსამზადებლად (პირველ თანრიგზე დაბალი შედეგი ჩათვლაში არ შედის). აი მწვრთნელთა ვალდებულებები:

ლ. გიორგაძე იღებს ვალდებულებას მოამზადოს ორი სპორტის ოსტატი (ა. შჩერბინა და ა. მჭედლიშვილი, სპორტულ სიარულში) და ორი პირველთანრიგოსანი (ა. მჭედლიშვილი — სპორტული სიარული, ვ. ფომინა — 3000 მ დაბრკოლებებით რბენაში). მწვრთნელი გ. ნადირაშვილი იღებს ვალდებულებას მოამზადოს ერთი სპორტის ოსტატი (ვ. ჩხეიძე — სამხტომი) და ერთი პირველთანრიგოსანი (ლ. დარახველიძე — სამხტომი). მწვრთნელი ბ. ტახტაროვი—ორი პირველთანრიგოსანი (გ. ფაროლდი, 100 მ რბენა, ე. ჯუგუროვა — ხუთჭიდი). მწვრთნელი დ. ბეთლემიძე — ერთი პირველთანრიგოსანი (ლ. ლევჩენკო — ხუთჭიდი). მწვრთნელი ვ. ლაბუნსკი — 2 პირველთანრიგოსანი (მ. ჩუხრუკიძე — 400 მეტრზე რბენა და ლ. ვოლოშჩინა — ხუთჭიდი). მწვრთნელი ვ. ნედაშკოვსკი — ერთი პირველთანრიგოსანი (ნ. თვაური—1.500 მეტრზე რბენა). მწვრთნელი ი. კოშაძე — 2 პირველთანრიგოსანი (ნ. ურუშაძე 100 მეტრზე რბენა, გ. ჯავახოვა 400 მეტრზე რბენა). მწვრთნელი შ. კილაძე — ერთი სპორტის ოსტატი (გ. ჩადუნელი, ბადროს ტყორცნა) და 4 პირველთანრიგოსანი (ი. ლორია გ. შავთვალაძე, ო. გოშაძე — ყველა ბირთვის კვრაში და ზ. ჭეიშვილი —ბადროს ტყორცნაში). მწვრთნელი ა. სადოვოი — 3 პირველთანრიგოსანი (ვ. პეტრენკო, ვ. სოკოლოვი — ორივე სამხტომში და ვ. ფურმინი — სიმაღლეზე ხტომაში). მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი — ერთი სპორტის ოსტატი (გ. ლექავა, თარჯრბენი 110 მ) და ერთი პირველთანრიგოსანი (ვ. ცხვედიანი, თარჯრბენში 110 მეტრზე). მწვრთნელი ე. გოკიელი — ერთი სპორტის ოსტატი (ლ. ანთაძე, რბენა 100 მეტრზე) და ერთი პირველთანრიგოსანი (რ. იანშჩინა, 80 მ თარჯრბენი და სიგრძეზე ხტომა). მწვრთნელი ი. უშაკოვი — ერთი პირველთანრიგოსანი (ლ. ნიკოგოსოვი რბენა 400 მეტრზე). მწვრთნელი ნ. დევდარიანი — ერთი სპორტის ოსტატი (ვ. კოვალენკო, უროს ტყორცნაში) და 2 პირველთანრიგოსანი (ბ. ტალხანოვი, დ. ჯუღელი — ორივე უროს ტყორცნაში). მწვრთნელი ვ. ვდოვინი — ერთი პირველთანრიგოსანი (ლ. ბოიკო. ხუთჭიდი და თარჯრბენი 80 მეტრზე). მწვრთნელი ა. კონსტანტინოვი — 3 პირველთანრიგოსანი (ლ. ივლევა, სიგრძეზე ხტომა, ლ. მათიაშვილი, ხუთჭიდი, ზ. მაჩაიძე, სამხტომი).

გარდა ამისა მწვრთნელებმა აიღეს ვალდებულება 1959 წლის საბ. კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მოამზადონ სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები.

მწვრთნელი ვ. ლაბუნსკი იღებს ვალდებულებას მოამზადოს ერთი სპორტის ოსტატი (რ. რამაზაშვილი სამხტომში) და 1 პირველთანრიგოსანი (ა. ბედუკაძე, რბენა 100 მეტრზე). მწვრთნელი ი. სახაროვი — ერთი სპორტის ოსტატი (ვ. კონცევიჩი, ჭოკით ხტომა). მწვრთნელი ე. გაგუა — ერთი პირველთანრიგოსანი (ლ. აბლიაზოვა. 80 მეტრზე თარჯრბენში). მწვრთნელი ვ. ნედაშკოვსკი — ერთი პირველთანრიგოსანი (ვ. ივანოვა, 800 მეტრზე რბენა). მწვრთნელი ვ. ქადეიშვილი — 2 პირველთანრიგოსანი (ნ. მუხურაძე, 400 მეტრზე რბენა და ლ. პუტინცევა, 100 მეტრზე რბენა). მწვრთნელი ო. ელიაშვილი — 2 პირველთანრიგოსანი (ლ. ხარკოვსკაია შუბის ტყორცნა და მ. დიაჩკოვა ბირთვის კვრა). მწვრთნელი დ. ბეთლემიძე — ერთი პირველთანრიგოსანი (ზ. ფოცხვერაშვილი, ხუთჭიდში). მწვრთნელი ა. სადოვოი — პირველთანრიგოსანი (ლ. სონღულაშვილი, ათჭიდში). მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი — ერთი სპორტის ოსტატი (დიაჩკოვი-დუმბაძე, 110 მეტრზე თარჯრბენში). მწვრთნელი ვ. სუხოტინი — ერთი სპორტის ოსტატი (ე. ლომთაძე, 100 მეტრზე რბენა) და ერთი პირველთანრიგოსანი (ს. კირაკოზოვი, ხუთჭიდში). მწვრთნელი კ. მალიშკოვი — ერთი სპორტის ოსტატი (გ. ზრაჟევსკაია, 400 მეტრზე რბენა) და ერთი პირველთანრიგოსანი (ვ. პოპოვი, 800 მეტრზე რბენა). მწვრთნელი ა. კონსტანტინოვი — 2 სპორტის ოსტატი (რ. ქვაჩახიძე, სიგრძეზე ხტომა და ვ. ივლევა, სიგრძეზე ხტომა).

ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელებმა ი. სახაროვმა ე. გაგუამ, ვ. ქადეიშვილმა, დ. ბეთლემიძემ, ი. კოშაძემ, ვ. ბახტინმა, ა. ბურიანოვამ, ნ. სხირტლაძემ, რ. როზენბლაუმმა, გ. ბანკოვსკაიამ იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისში 17-24 აგვისტოს ტარდება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, ვალდებულება აიღეს სკოლის მოსწავლეთაგან აღზარდონ მეორეთანრიგოსან მძლეოსანთა ჯგუფი: გ. ასატუროვი, ვ. ელენინი — ჭოკით ხტომაში, ვ. ლემენჩუკი — 80 მეტრზე თარჯრბენში, ბ. სტეპანენკო — ბადროს ტყორცნაში, ა. საბაკინი — 100 მეტრზე რბენაში, გ. სავჩენკო, მ. ოხანაშვილი — 100 მეტრზე რბენაში, ე. ამაშუკელი — სიგრძეზე ხტომაში, ე. კანკავა — სიმაღლეზე ხტომაში, გ. ბაბალაროვი — სიგრძეზე ხტომაში. ვ. ფურმანი — სიმაღლეზე ხტომაში, ვ. თავრიზიანი — სამხტომში, ლ. ტოპოლოვა — სიგრძეზე ხტომაში, ბ. ხომენკო — 400 მეტრზე რბენაში, ე. ზემლიანოი — 200 და 400 მეტრზე რბენაში, ს. რეზნიკი — 800 მეტრზე რბენაში, ე. გიუნაშვილი — ბადროს ტყორცნაში, ი. ქოჩაროვი — 100 მეტრზე რბენაში.

ვალდებულება აიღო აგრეთვე ზოგიერთმა სპორტსმენმაც. აი მაგალითად: საქართველოს რეკორდსმენმა ბირთვის კვრაში ვ. ბლიაძემ განაცხადა, რომ ის შეასრულებს სპორტის ოსტატის ნორმატივს. რესპუბლიკის რეკორდსმენმა სპორტულ სიარულში ნ. კალანდაძემ ასევე აიღო ვალდებულება სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებაზე. პირველი თანრიგის შედეგის ჩვენება 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის ივალდებულა საქართველოს ჩემპიონმა თ. პშენიჩნაიამ.

ა. არხანგელსკი

## უფროსკლასელთა მონაწილეობით

თბილისის 63-ე საშუალო სკოლაში დამთავრდა სასკოლო პირველობა ფეხბურთში, კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ფეხბურთელთა შეჯიბრებაში, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდა ექვსი კოლექტივი, პირველი ადგილი მოიპოვეს მეცხრეკლასელებმა. კალათბურთელთა შეხვედრები დამთავრდა მეთერთმეტეკლასელთა გამარჯვებით.

მაგიდის ჩოგბურთში უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად იბრძოდა 20 მოსწავლე. ვ. ორლოვმა (მე-10 კლასი) დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და მოიპოვა პირველი ადგილი.

ი. ხაბეიშვილი

## ძირეული კოლექტივის ინიციატივით

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის ინიციატივით 15 თებერვალს დაიწყება ოთხი ტექნიკუმის (ქუთაისის სამთამადნო, სატყეო, ავტომექანიკური და ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო) სპორტსმენთა სპარტაკიადა. პროგრამაშია ფეხბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ქართული, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ველოსპორტი, შტანგა, ტყვიით სროლა, სპორტული ტანვარჯიში და ხელბურთი.

გამარჯვებულ კოლექტივს გადაეცემა გარდამავალი ალამი და პირველი ხარისხის დიპლომი.

ი. ლეკვეიშვილი

## 10 უძლიერესი

ბულგარეთის კალათბურთის სექციამ გამოაქვეყნა 10 უძლიერესი კალათბურთელი ვაჟისა და ქალის სია.

ვაჟთა შორის საუკეთესო კალათბურთელად აღიარებულია ლიუბომირ პანოვი. მომდევნო ადგილებზე არიან: ცვეტკო ბარჩოვსკი, ილია მირჩევი, გეორგი კონევი, მიხაილ სემოვი, ვიქტორ რადევი, ათანას ბეიჩინსკი, ნიკოლა ილოვი, გეორგი პანოვი, კონსტანტინ ტოტევი.

ქალთა შორის ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: ვანია ვოინოვა, დობრინკა ჯამბაზოვა, ელენა გასპოდინოვა, რაინა რენგელოვა, კერესტინა გეოშევა, ტოდორკა კუზოვა, ერმილა პოპოვა, ვესელინა მანიკოვა, ეკატერინა გიუროვა.

## მივიწყებული მშენებლობა

ზესტაფონი მეტად ღარიბია სპორტული ბაზებით და აი, როგორც იყო ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და გადაწყვიტა დაეწყო კალათბურთის სათამაშო მოედნის მშენებლობა. მშენებლობისათვის რაიონის ცენტრში გამოყოფილ იქნა მიწის ნაკვეთი, შედგა პროექტი, გაჩაღდა მუშაობა, რომელზეც საკმაოდ საგრძნობი თანხა დაიხარჯა.

ზესტაფონელ სპორტის მოყვარულებს ცხადია, ახარებდათ ეს მდგომარეობა და ფიქრობდნენ, რომ მალე კალათბურთის კარგი მოედნის მფლობელები გახდებოდნენ. მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა მათი სიხარული. მშენებლობა შეჩერებულ იქნა, აგური სადღაც გაქრა, ჩაყრილ საძირკველს მიწა მიაყარეს და მუშაობაც შეწყდა.

ეს ამბავი 1956 წელს მოხდა. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, მაგრამ მშენებლობის განახლება არავის გახსენებია.

იქნებ ახლა მაინც გაიხსენონ?!

ს. ტალახაძე

## ევროპისა და მსოფლიოს პირველობები 1958 წელს

**თებერვალი:** მსოფლიოს პირველობა ციგურებით რბენაში (ვაჟები), ჰელსინკი, 15-16 თებერვალი; ევროპის პირველობა ხელბურთში, ბერლინი, 27 თებერვალი-8 მარტი; მსოფლიოს პირველობა შაიბიან ჰოკეიში, ოსლო, 28 თებერვალი-9 მარტი.

**მარტი:** მსოფლიოს პირველობა ტრამპლინიდან ხტომაში, ლახტი, 1-9 მარტი; ევროპის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, ბუდაპეშტი, 9 მარტიდან.

**მაისი:** ევროპის პირველობა კალათბურთში ქალთა შორის, ვარშავა, 8-18 მაისი. მსოფლიოს პირველობა საპლანერო სპორტში, ლიუბლენი (იუგოსლავია), 15-29 მაისი.

**ივნისი:** მსოფლიოს პირველობა ფეხბურთში, შვეცია, 8-29 ივნისი.

**ივლისი:** მსოფლიოს პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში, მოსკოვი, 6-10 ივლისი. მსოფლიოს პირველობა მშვილდოსნობაში, ბრიუსელი, 18-21 ივლისი.

**აგვისტო:** მსოფლიოს პირველობა საპარაშუტო სპორტში, ბრატისლავა, 1-15 აგვისტო; ევროპის პირველობა მძლეოსნობაში, სტოკჰოლმი, 19-24 აგვისტო; ევროპის პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, პოზნანი, 22-31 აგვისტო; მსოფლიო პირველობა ფარიკაობაში, ფილადელფია (აშშ), 24 აგვისტოდან; მსოფლიოს პირველობა ველოსპორტში, 30 აგვისტოდან, პარიზსა და რეიმსში; ევროპის პირველობა ცურვაში, ბუდაპეშტი, 31 აგვისტოდან; ევროპის პირველობა საიალქნო სპორტში, ანტვერპენი (ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი); ევროპის პირველობა ფრენბურთში, პრაღა, 29 აგვისტოდან; მსოფლიოს პირველობა სროლაში, მოსკოვი (ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი).

**სექტემბერი:** მსოფლიოს პირველობა ძალოსნობაში, სტოკჰოლმი, 16-21 სექტემბერი; საჭადრაკო ოლიმპიადა, გფრ-ში (ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი).

**ოქტომბერი:** მსოფლიოს პირველობა კალათბურთში, სანტ-იაგო, 28 ოქტომბრიდან.

## ახალი წიგნი

ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის" დიდ მოთხოვნებს უყენებს ფიზკულტურის დარგის მუშაკებს, განსაკუთრებით კი სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს. მოსწავლე ახალგაზრდობის მომზადების საქმეში დახმარების მიზნით გასული წლის ბოლოს გასაყიდათ გამოვიდა ა. რატიას ნაშრომი „საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის" (რედაქტორი ა. ორახელაშვილი).

წიგნი წარმოადგენს დამხმარე მეთოდურ სახელმძღვანელოს, რომელიც განკუთვნილია ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთათვის, მასში განხილულია მშთ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმები, მშთ კომპლექსის დებულებითა და ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შინაარსი, მათი მომზადებისა და ჩაბარების პირობები. მოცემულია სასაუბრო მასალა თვითეულ საფეხურის მიხედვით, თეორიულ მოთხოვნებისა და პრაქტიკული ნორმატივების შესრულების ტექნიკა და სწავლება-წვრთნის ორგანიზაციულ-მეთოდური მითითებანი, აგრეთვე მოთხოვნები ნიშნოსანთა მოსამზადებლად მუშაობის მოწყობისა და სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობათა ჩატარების შესახებ.

წიგნი კარგად არის ილუსტრირებული შესაბამისი მასალით. მას დართული აქვს ტესტების სახით თან ახლავს დანართები.

ა. რატიას წინამდებარე დამხმარე მეთოდური ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს ფიზკულტურის ინსტრუქტორებს და ფიზაღზრდის მასწავლებლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დროის უქონლობის გამო

### ჭადრაკის თამაში სახიფათოა

### ყველაფერი წყდება ბოლო ტურში

## სსრკ XXV ჩემპიონატი

ახლა, როცა ჩემპიონატი გადამწყვეტ სტადიაში შევიდა, ძნელია მონახო უკიდურესობამდე დაძაბული ბრძოლის ამსახველი სიტყვები. მხოლოდ ჩემპიონატზე მყოფთ შეუძლიათ ნამდვილად განიცადონ ჭიდილის ციებ-ცხელება. მაგრამ მკითხველებიც, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს ჩემპიონატს, ალბათ, არანაკლებ გრძნობენ ბრძოლის სიცხადეს. ასეთები მთელი არსებით მოელოდნენ XVII ტურს, რომელშიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ლიდერების ბრონშტეინ-პეტროსიანის, კროგიუს-ტალის, ბოლესლავსკი-გურგენიძისა და სპასკი-კორჩნოის პარტიები.

.... ბრონშტეინი ყოველი სვლით ავიწროებდა პეტროსიანის ფიგურებს. დგება კრიტიკული მომენტი. პეტროსიანის პოზიცია უკვე გაბზარულია. საცაა მოსკოვის ჩემპიონმა უნდა მიიტანოს გადამწყვეტი შტურმი, მაგრამ ბრონშტეინს რთულმა თამაშმა მოსაფიქრებლად განკუთვნილი დროის დიდი ნაწილი წაართვა და იგი ცაიტნოტში მოექცა. მას 16 სვლაზე 8 წუთი დარჩა და აქ ბრონშტეინმა მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. რა საკვირველია, პეტროსიანმა იგი სიამოვნებით მიიღო.

ამ დროისათვის მსაჯთა კოლეგიამ გააფორმა ყაიმზე ტოლუშ-ბანიკის შეთანხმება.

აგრესიულად განწყობილმა კორჩნოიმ ფრანგულ დაცვაში უცნაური გაგრძელება არჩია. მან ისე ღრმად ჩააფიქრა სპასკი, რომ იგი მე-16 სვლაზე საათზე მეტ დროს ფიქრობდა. ბოლოს გამოძებნილ იქნა იერიშის საწინააღმდეგო ღონისძიება, რომლის განხორციელებით შეიქმნა მიუვალი ციხე-სიმაგრე. კორჩნოიმ შეატყო, რა ალყის უშედეგობა, დაზავება არჩია.

სულ სხვა ხასიათს ატარებდა ბოლესლავსკი-გურგენიძის შეხვედრა. სიცილიურ დაცვაში გროსმაისტერმა ხანგრძლივად შეინარჩუნა ინიციატივა. გურგენიძე თავგამოდებით იგერიებდა მუქარებს. ერთ-ერთ მომენტში ბოლესლავსკის „დაუცდა" ფეხი, რითაც გურგენიძემ დაუყოვნებლივ ისარგებლა. ლაზიერებისა და თითქმის ყველა ფიგურის გაცვლით მან პარტია მოსაგებ დაბოლოებაში გადაიყვანა. მაგრამ პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა. გადაიდო აგრეთვე კროგიუს-ტალის პარტიაც, რომელშიც მცირე უპირატესობა რიგელის მხარესაა.

გიპსლისმა და კოტოვმა მშვიდობიანი თამაშით 39-ე სვლაზე პარტია ყაიმით დაამთავრეს.

სხვა დაუმთავრებელ პარტიებში ავერბახი უგებს სუეტინს, ხოლო ფურმანი — ტაიმანოვს.

* * *

XVIII ტურში ლიდერების თამაშს მღელვარება ემჩნეოდა. იგი მაყურებლებზეც გადავიდა, რომლებიც ამ დღეს ჩვეულებრივზე გაცილებით მეტნი იყვნენ დარბაზში. ბევრს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ტალი მოუგებდა შეხვედრას გიპსლისს. მართლაც ტალმა გამანადგურებელი იერიში განავითარა და 26-ე სვლაზე გაიმარჯვა კიდეც. ამით რიგელ გროსმაისტერს შეექმნა შესაძლებლობა ებრძოლოს ჩემპიონის სახელის შენარჩუნებისათვის. პეტროსიანმა და ბოლესლავსკიმ წყნარი თამაშით პარტია თანდათან გაართულეს, მაგრამ როცა, არავინ მოელოდა საზავო მოლაპარაკებას, მეტოქეებმა დაიწყეს პოზიციის გამეორება. ეს ყაიმზე შეთანხმებას ნიშნავდა.

სპასკის მხოლოდ გამარჯვება უწყობდა ხელს. ამიტომ მან გაბედულად შეწირა კოტოვს მხედარი და თავს დაესხა მის მეფეს. მაგრამ მოსკოველი გროსმაისტერი ჩვეული სიმტკიცით იგერიებდა მუქარებს. სპასკი ცაიტნოტში მოხვდა და რამდენიმე არაზუსტი სვლა გააკეთა. ინიციატივა გადავიდა კოტოვის მხარეს. ამ დროს მოხდა კურიოზული შემთხვევა. კოტოვმა გააკეთა როქი, როცა მისი მეფე ქიშის ქვეშ იყო. ამიტომ მსაჯებმა კოტოვს საჯარიმო სვლა გააკეთებინეს მეფით. მიუხედავად ამისა მოსკოველის პოზიცია არ დაზარალებულა და იგი განაგრძობდა შტურმს. სპასკის მეფემ ვერ აიტანა მძლავრი დაწოლა და კაპიტულაცია გამოაცხადა. ამ პარტიის წაგებით სპასკის შანსები ოთხეულში გასასვლელად საგრძნობლად გაუარესდა.

ავერბახთან შეხვედრაში გურგენიძე დაწყებიდანვე ყაიმისკენ მიისწრაფოდა. ეს შედეგი მას ყოფნიდა ოთხეულში მოსახვედრად, მაგრამ როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, გურგენიძე პასიურად თამაშობდა. მან კრიტიკულ მომენტში დაუკვირვებლად გახსნა თამაში, რის შემდეგ ავერბახმა აამოძრავა თავისი ორი კუ და დაეუფლა ინიციატივას. გურგენიძის პოზიცია საგრძნობლად გაუარესდა. პარტია გადაიდო, სადაც ქართველ ოსტატს ძალიან გაუძნელდება მისი გადარჩენა.

ტოლუშმა ენერგიული თამაშით მოუგო კორჩნოის. გადადებულ პარტიებში ბრონშტეინი უპირატესობას ინარჩუნებს ბანიკთან, ხოლო პოლუგაევსკი-ფურმანის პარტია შეწყვეტილია მწვავე პოზიციაში.

**XVIII** ტურის შემდეგ ტ. პეტროსიანს აქვს 11,5 ქულა, მ. ტალს — 11 და ერთი გადადებული პარტია, ბ. სპასკის — 10,5, დ. ბრონშტეინს — 10 და ერთი გადადებული პარტია, ბ. გურგენიძეს — 9,5 და ორი გადადებული პარტია, ვ. კორჩნოის — 9, ი. ავერბახს — 8,5 და ორი გადადებული პარტია და ა. შ.

## ტურნირის გადამწყვეტ ეტაპზე

ფრენბურთელთა ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალის ცენტრალური შეხვედრა იყო მატჩი ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა კოლექტივებს შორის. ამ შეხვედრის ანგარიშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი ადგილისათვის მებრძოლთათვის, ვინაიდან გამარჯვების შემთხვევაში ორივე გუნდი ინარჩუნებდა საპატიო ადგილზე გასვლის შანსებს. სწორედ ამის გამო ბრძოლა მეტად დაძაბული და საინტერესო იყო.

პირველმა ორმა პარტიამ უძლიერესი ვერ გამოავლინა. მესამე პარტიაში გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, მაგრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში. გადამწყვეტი პარტია ძლიერად ჩაატარა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა და მოიპოვა საპატიო გამარჯვება.

არანაკლები დაძაბულობით ხასიათდებოდა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ოსკ-ს ვაჟთა კოლექტივების შეხვედრა. აქაც გამარჯვებული მხოლოდ მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში გამოვლინდა — გაიმარჯვეს არმიელებმა.

ფინალურ შეხვედრათა მეორე ტურში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა „მშრალი" ანგარიშით — 3:0. ეს, რა თქმა უნდა, სპორტული ბრძოლის სიმძაფრეზე მეტყველებს. მეტად შეუპოვარი გამოდგა განათლების განყოფილებისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდების შეხვედრა. ნორჩ ფრენბურთელებს არა ერთხელ ჰქონდათ გამარჯვების შანსები, მაგრამ მათ იგი ხელიდან გაუშვეს. ორსაათიანმა ბრძოლამ გამარჯვების სასწორი სტუდენტთა მხარეს გადახარა. დაძაბული გამოდგა აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ოსკა-ს ვაჟთა კოლექტივების შეხვედრა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მატჩს არმიელთათვის ჰქონდა, რომლებსაც სატურნირო ცხრილში უკვე ეწერათ ერთი დამარცხება. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდზე გამარჯვების შემთხვევაში არმიელები ინარჩუნებდნენ პირველი ადგილისათვის ბრძოლის კარგ შანსებს, მაგრამ არმიელები დამარცხდნენ. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა მოიპოვა მეტად საჭირო გამარჯვება.

ლ. ფალიანი

## სათხილამურო ასპარეზობა

### საქართველოს 1958 წლის პირველობა თხილამურებში

პირველობის მეორე დღეს კოხტა გორაზე ჩატარდა შეჯიბრება სლალომში. ვაჟთა 600-მეტრიან ტრასაზე 60 კარი იყო განლაგებული. სტარტზე გამოვიდა 43 მონაწილე, რომელთაგან ორი ცდის შემდეგ შეჯიბრებას გამოაკლდა 17 მონაწილე. პირველ ცდაში ყველაზე უკეთესი შედეგი — 1.33,2 ჰქონდა თბილისელ ს. კოხანაშვილს. მეორე ცდაში მან 1.37,8 აჩვენა. ორი ცდის ჯამში მას ჰქონდა 3 წუთი, 11 წამი და ჩემპიონის წოდებაც მას ერგო. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ჯანგობეგოვი, მესამეზე — ვ. კოპტონაშვილი (ორივე ბორჯომიდან). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ბორჯომელმა სლალომისტებმა.

ქალთათვის სლალომში 450-მეტრიანი ტრასა იყო განკუთვნილი 45 კარით. აქაც 9 მონაწილიდან ყველას არ დაუმთავრებია შეჯიბრება. აჭარის ორივე წარმომადგენელმა პირველ ცდაშივე დატოვა ტრასა. ამ სახეობაში ჩემპიონი გახდა ბორჯომელი ლ. გოგოლაძე, რომელმაც როგორც პირველ, ისე მეორე ცდაში აჩვენა ყველაზე კარგი შედეგი, სუფთად გაიარა ყველა კარი და ორი ცდის ჯამში უჩვენა 3.06,5. მეორე ადგილზე გამოვიდა ქ. ბანდური (თბილისი), რომელიც გამარჯვებულს ჩამორჩა 33,6 წამით. მესამე იყო რ. ბანდური (ბორჯომი). გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა ბორჯომის გუნდი, მეორეზე — თბილისი.

სამთო ორჭიდის პირველ დღეს 15 კილომეტრზე რბენაში სტარტზე უნდა გამოსულიყო 15 მონაწილე, მაგრამ იმის გამო, რომ ამინდი მეტად არასახარბიელო და თოვლი დნება, ტრასაზე მხოლოდ შვიდი მონაწილე გამოცხადდა. პირველი სამი ადგილი ამ სახეობაში მოიპოვეს ბორჯომის გუნდის წარმომადგენლებმა ჯ. წაქაძემ, ჯ. თვაურმა და ე. თვაურმა. მეორე დღეს გაიმართა ხტომა 45-მეტრიანი ტრამპლინიდან. აქ ლიდერები შეიცვალნენ. ჯ. თვაურმა პირველ ცდაში აჩვენა 46,5 მეტრი, მეორეზე — 47 მ. მეორე ადგილზე გამოვიდა ზ. თვაური (თბილისი). მესამე ადგილზეა ჯ. წაქაძე. ორჭიდის ჯამში რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა ჯ. თვაური, რომელმაც მოაგროვა 432,5 ქულა. ზ. თვაური და ჯ. წაქაძე გავიდნენ მომდევნო ადგილებზე. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ბორჯომელმა სპორტსმენებმა.

შეჯიბრების მესამე დღეს ბაკურიანის პარკში სტარტი მიეცა რბოლას ქალთათვის 10 კილომეტრზე და ვაჟთათვის — 50 კილომეტრზე. დილის საათებში, ვიდრე ყინავდა, შეჯიბრების ტემპი საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ შემდეგ ნათხილამურევი გაფუჭდა და ტემპმაც იკლო. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ვაჟთა შორის გამარჯვებულმა ნ. კოხანაშვილმა (ბორჯომი) აჩვენა შედეგი — 4 საათი და 24.35, რაც ერთი საათით უარესია შარშანდელ საუკეთესო შედეგზე. მეორე ადგილი მოიპოვა აჭარის გუნდის წევრმა ი. მიხაილიცკიმ, მესამე — ნ. თვაურმა. გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა შორის პირველ ადგილზეა თბილისის გუნდი, მეორეზე — აჭარა, მესამეზე — ბორჯომი. აღსანიშნავია, რომ ბორჯომის გუნდის სამმა მონაწილემ ტრასა მიატოვა, რამაც გავლენა მოახდინა საერთო შედეგზე.

ქალთა შორის 10-კილომეტრიან დისტანციაზე 26 მონაწილე გამოვიდა. გაიმარჯვა ვ. გავამ (თბილისი) — 50,58. მეორე ადგილზეა ვ. იურკინა (აჭარა), მესამეზე — თბილისელი ზ. კორჩაგინა. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა აჭარის გუნდი, მეორეზე — თბილისი, მესამეზე — ბორჯომი.

ო. გელაშვილი,
გ. სამსონაძე.
ჩვენი სპეც. კორ.

## ოლქში მეორე ადგილზე

ნაყოფიერად მუშაობს გალის რაიონის ოტობაის საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი (ძირეული საბჭოს თავმჯდომარე შ. ბოქჩავა), რომელშიც გაერთიანებულია მოსწავლეთა უმეტესობა. სკოლისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გასული სპორტული სეზონი. ამ პერიოდში აქ მომზადებულ იქნა 3 მეორე თანრიგისა და 13 მესამე თანრიგის სპორტსმენი. სკოლაში ჩამოყალიბებულია კალათბურთის, ფრენბურთის, ქართული ჭიდაობისა და სხვა სექციები.

ნაყოფიერი მუშაობით აქაურმა მოჭიდავეებმა პირველი ადგილი მოიპოვეს რაიონში, ხოლო აფხაზეთში მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ.

გ. ბჟინავა

## ახალგაზრდობის წარმატება

### ზამთრის საქალაქო პირველობა ჩოგბურთში

6 დღის განმავლობაში თბილისში, „დინამოს" კორტებზე მიმდინარეობდა ზამთრის საქალაქო პირველობა ჩოგბურთში. ეს საინტერესო ღონისძიება წელს პირველად მოეწყო და დიდი ინტერესიც გამოიწვია. მაღალ დონეზე ჩატარდა მთელი რიგი შეხვედრები, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ახალგაზრდობამ.

დაძაბულად მიმდინარეობდა თამაშები ფინალში მოხვედრისათვის. ნახევარფინალურ შეხვედრებში 17 წლის გ. მუსაელიანმა დაამარცხა გ. ღარიბაშვილი, ხოლო 14 წლის ნ. მძინარიშვილმა — რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონი გ. კაპანაძე. ფინალისტებმა ერთმანეთში 5 პარტია გაითამაშეს, სადაც გაიმარჯვა გ. მუსაელიანმა, რომელიც თბილისის ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილზე გამოვიდა ნ. მძინარიშვილის ძმა ლ. მძინარიშვილი.

წყვილთა შეხვედრებში ძმებმა მძინარიშვილებმა, როცა ისინი გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში ანგარიშით 0:3 აგებდნენ ე. კაპანაძე-გ. ჩახუნაშვილთან, ხელთ იგდეს ინიციატივა და იგი თავიანთ სასარგებლოდ (7:5) დაამთავრეს და მოიპოვეს ფინალში გასვლის უფლება. მაგრამ ფინალი არ შედგა ა. ვერულავას, თ. კერესელიძისა და ო. ჭარხალაშვილის არასპორტული საქციელის გამო, რომლებმაც თავი აარიდეს გადამწყვეტ შეხვედრებს. დედაქალაქის ჩემპიონის სახელი მიენიჭა მძინარიშვილების წყვილს.

ქალთა შორის ყველას აჯობა ი. რიაზანოვამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა რ. აბჟანდაძე. მესამე ადგილზეა კ. მინაევა.

შერეულ წყვილებში ჩემპიონობა მოიპოვეს ი. რიაზანოვამ და ა. ვერულავამ. ქალთა წყვილში გაიმარჯვეს კ. მინაევამ და რ. აბჟანდაძემ.

ფ. ლეონიძე




წარმატებით გრძელდება დედაქალაქის 1958 წლის პირველობა ჭადრაკში. ეს გათამაშება თბილისის 1500 წლისთავს მიეძღვნა.

ს უ რ ა თ ზ ე: ტურნირის მონაწილეები გამრეკელი და არნშტეინი თამაშის დროს.



## „აღმოსავლური არეულობის“ შედეგი

### ევროპა ინარჩუნებს უპირატესობას

# მეხუთე კონტინენტი სწავლობს ფეხბურთს

# მხოლოდ ფინალი



ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის სტატუტში წერია, რომ მისი გათამაშება ხდება 4 წელიწადში ერთხელ, ყოველ მეორე წელს ოლიმპიური თამაშების შემდეგ.

ეს სტატუტში წერია. ფაქტიურად ჟიულ რიმეს თასის გათამაშება წარმოადგენს ნამდვილ საფეხბურთო მარათონს, რომელიც მიმდინარეობს თითქმის ორი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე ფეხბურთის სამყაროს ძირითადად მხოლოდ ერთი საკითხი აინტერესებს — ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი.

1956 წლის 30 სექტემბერს ავსტრიელებმა თავიანთ დედაქალაქში მიიღეს ლუქსემბურგის ნაკრები გუნდი და სასტიკად „გაუმასპინძლდნენ“ მას ანგარიშით 7:0. ეს იყო პირველი მატჩი ჟიულ რიმეს თასზე შესარჩევ ჯგუფში და იმ დღიდან დაწყებული მსოფლიოს ოთხი კონტინენტის სტადიონებზე (ავსტრალიელები უწინდებურად თავს იკავებენ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებისაგან იმ მოტივით, რომ ისინი ჯერ კიდევ სწავლობენ ფეხბურთის თამაშს) „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლები იყო გამართული ქვეჯგუფებში მხოლოდ იმისათვის, რომ გუნდს მოეპოვებინა ადგილი 16 ფინალისტს შორის. თუმცა ამ „მხოლოდს“ შეეწირნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები იტალიელები და ურაგვაელები, შეეწირნენ ესპანელები, ბულგარელები, პოლონელები და სხვა მეტად ძლიერი გუნდები. ერთ-ერთმა ფრანგმა ფეხბურთის მიმომხილველმა ასე იხუმრა: ამ წაგებული გუნდებიდან რომ მეორე, პარალელური ფინალური ჯგუფიც შევადგინოთ, კიდევ საკითხავი იქნება ვინ აიღებს პირველ ადგილსო.

მაგრამ მსოფლიო პირველობა ფეხბურთში ხუმრობისაგან შორსა დგას და ის, რაც წელიწადნახევრის განმავლობაში ხდებოდა საფეხბურთო მინდვრებზე — ურყევი კანონია. 5 თებერვალს დამთავრდა შესარჩევი მატჩები და 16 ფინალისტი მზადაა სტოკჰოლმისათვის. ისევე, როგორც წინა წლებში, ფინალისტთა შორის ყველაზე მეტი ადგილი ევროპელებს აქვთ — 12. სამხრეთ ამერიკას ერგო 3 ადგილი. ჩრდილოეთ ამერიკას — 1. რაც შეეხება აზიისა და აფრიკის ფეხბურთელებს, ისინი მხოლოდ რადიოთი მოისმენენ ფინალური მატჩების ამბებს და გაზეთებში წაიკითხავენ თუ რა ხდებოდა შვეციაში.

დამთავრდა შეჯიბრება წინასწარ ქვეჯგუფებში, მაგრამ „ანტრაქტზე“ არავინ ფიქრობს. ახლაა ყველაზე საპასუხისმგებლო — მოსამზადებელი პერიოდი, როცა ყოველი ნაბიჯი საფეხბურთო მინდორზე უნდა ათასჯერ გამოზომილი და აწონილი იქნას, როცა საჭიროა გუნდების შემადგენლობათა საბოლოო დაკომპლექტება, ინტენსიური წვრთნა, მოწინააღმდეგეთა დეტალური შესწავლა. ყოველი წვრილმანის გათვალისწინება.

მაგალითად, ფრანგებს ასე აქვთ დაგეგმილი ფინალისათვის მზადება: ნაკრების მწვრთნელი ა. ბატი გადის ტექნიკურ და ტაქტიკურ წვრთნას გუნდთან, ხოლო სახელმწიფო მწვრთნელი ჟ. პიბარო მოწინააღმდეგეთა დაზვერვას აწარმოებს საზღვარგარეთული პრესის მიმოხილვისა და საკუთარ დაკვირვებათა საფუძველზე. საერთო ანალიზისათვის საფრანგეთში შექმნილია მთელი შტაბი, რომელიც კარგა ხანია, რაც გაცხარებულ საქმიანობაშია. მაგრამ ამ გამოგონების პატენტი მხოლოდ ფრანგებს არ ეკუთვნით. თვითეული ფინალისტის საერთაშორისო შეხვედრას ესწრება ურიცხვი ოფიციალური ფეხბურთის „ატაშე“: მწვრთნელები, ფეხბურთელები, ჟურნალისტები, ექსპერტები, რომლებიც გულდასმით იწერენ ყოველი ფეხბურთელის დამახასიათებელ თვისებებსა და ჩვევებს, ყოველ დარტყმას. ასე იყო ინგლისისა და საფრანგეთის, სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდების მატჩებზე, როცა ბრაზილიიდან და არგენტინიდან თვითმფრინავებით საგანგებოდ ჩამოვიდნენ სპეციალისტები ევროპულ „საიდუმლოებათა“ ამოსაცნობად. მილინებიდან ისინი დაბრუნდნენ დატენილი პორტფელებით, მთლიანად შევსებული ბლოკნოტებით, სქემებითა და სხვა ამგვარი ნადავლით.

ფინალისტთა კენჭისყრის წინ ბევრი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ ვის მოუწევდა იღბლიანი ქვეჯგუფი სუსტი მოწინააღმდეგეებით, მაგრამ საკითხავია, რომელია სუსტი გუნდი ფინალში? ერთადერთ „ხელწამოსაკრავად“ შეიძლება მექსიკა ჩაითვალოს. ისიც ვინ იცის...

პროგნოზები! არ დარჩენილა თითქმის არც ერთი უცხოური სპორტული გაზეთი, რომელსაც არ ჩაეტარებინოს კონკურსი ასეთი შეკითხვით: ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი? თუ ამ კონკურსების მიხედვით ვიმსჯელებთ, პირველი ადგილი ჩემპიონატში უნდა დაიკავოს სულ ცოტა ხუთმა გუნდმა მაინც. ასახელებდნენ არგენტინას, ინგლისს, სსრ კავშირს, ბრაზილიას, უნგრეთს... მაგრამ ამ მკითხაობაში ყოველთვის არის სიტყვა „თუ“, რომელიც მის ავტორს საშუალებას აძლევს დაიტოვოს უკან დასახევი საეგებიო გზა და გაამართლოს თავისი „თუ“.

ინტერესმოკლებული არ იქნება ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი განვლილი ბრძოლის გზას პირველ ეტაპზე და გავიხსენოთ, როგორ მოხდა ადგილების განაწილება ფეხბურთის ამ იერარქიაში.

**I ჯგუფი.** აქ თავიდანვე ცხადი შეიქნა, რომ ინგლისელები აშკარად ძლიერნი იყვნენ ირლანდიისა და დანიის გუნდებთან შედარებით. მათ წმინდა ბრიტანული სიმშვიდით ძლიეს მოწინააღმდეგეებს და მხოლოდ ერთი ქულა დაკარგეს დუბლინში ირლანდიასთან შეხვედრისას — 1:1. აი გუნდების საბოლოო მდგომარეობა ამ ჯგუფში.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 15:5 | 7 |
| ირლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | 5 |
| დანია | 4 | 0 | 0 | 4 | 4:13 | 0 |

**II ჯგუფი.** აქაც ადრევე გაირკვა ფრანგების უპირატესობა, რომელთა ფაქტიურ მოწინააღმდეგეს მხოლოდ ბელგია წარმოადგენდა. საფრანგეთმა ბელგიას ერთი მატჩი მოუგო, ერთიც ფრედ დაამთავრა და ფინალში გავიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 19:4 | 7 |
| ბელგია | 4 | 2 | 1 | 1 | 16:11 | 5 |
| ისლანდია | 4 | 0 | 0 | 4 | 6:26 | 0 |

**III ჯგუფი.** უნგრელებმა დამარცხებით დაიწყეს ტურნირი, მაგრამ შემდგომში გამოასწორეს თავიანთი მდგომარეობა და მოიპოვეს კანონიერი ადგილი ფინალში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 12:4 | 6 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 11:7 | 4 |
| ნორვეგია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:15 | 2 |

**IV ჯგუფი.** აქ გაიმარჯვეს ჩეხმა ფეხბურთელებმა, თუმცა მათაც პირველ მატჩში მარცხი განიცადეს უელსთან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| უელსი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 4 |
| გდრ | 4 | 1 | 0 | 3 | 5:12 | 2 |

**V ჯგუფი.** ავსტრიელთათვის საჭირო იყო გამკლავებოდნენ ჰოლანდიის გუნდს და პირველი ადგილიც მათი იყო. ეს ამოცანა მათ წარმატებით შეასრულეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 4 | 3 | 1 | 0 | 14:3 | 7 |
| ჰოლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 12:7 | 5 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:19 | 0 |

**VI ჯგუფი.** აქ საჭირო გახდა დამატებითი მატჩის ჩატარება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის გუნდებს შორის, რომელიც ნეიტრალურ მინდორზე ლაიპციგში მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 3 | 0 | 1 | 16:3 | 6 |
| პოლონეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 6 |
| ფინეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:19 | 0 |

**VII ჯგუფი.** იუგოსლავიის ნაკრებს დაძაბული ბრძოლის გადატანა დასჭირდა რუმინელებთან შეხვედრებში, მაგრამ ოლიმპიურმა პრიზიორმა შეძლო გამარჯვების მოპოვება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 6 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 5 |
| საბერძნეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |

**VIII ჯგუფი.** აქ პირველი ადგილისათვის თანაბარი შანსებით იბრძოდა სამივე გუნდი, მაგრამ კარგი ფინიშის წყალობით ჩრდილოეთ ირლანდია გავიდა პირველ ადგილზე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრ. ირლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 5 |
| იტალია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 4 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 3 |

**IX ჯგუფი.** ეს წინასწარი ჯგუფი საპედისწერო აღმოჩნდა ესპანელთათვის, რომლებმაც უაღრესად საჭირო ქულა დაკარგეს შვეიცარიასთან მატჩში და წინ გაუშვეს შოტლანდია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 10:9 | 6 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 12:8 | 5 |
| შვეიცარია | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | 1 |

**X ჯგუფი.** ბრაზილიის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა თავიდანვე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 3 |
| პერუ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

**XI ჯგუფი.** მიუხედავად ერთი დამარცხებისა, არგენტინა აშკარად ძლიერი იყო თავის მოწინააღმდეგეებზე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 4 | 3 | 0 | 1 | 10:2 | 6 |
| ბოლივია | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 4 |
| ჩილი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:10 | 2 |

**XII ჯგუფი.** პარაგვაის ნაკრებმა თავისი სენსაციური გამარჯვებით ურაგვაის გუნდზე შეძლო პირველი ადგილის დაკავება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:4 | 6 |
| ურაგვაი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:6 | 5 |
| კოლუმბია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

**XIII ჯგუფი.** „ა“ ქვეჯგუფში უძლიერესნი აღმოჩნდნენ კოსტა-რიკას ფეხბურთელები (ერთი მატჩი კიურასაოს და გვატემალის გუნდებს შორის არ შედგა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა-რიკა | 4 | 4 | 0 | 0 | 15:4 | 8 |
| კიურასაო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 2 |
| გვატემალა | 3 | 0 | 0 | 3 | 4:12 | 0 |

„ბ“ ქვეჯგუფში ტურნირი შემდეგნაირად დამთავრდა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 4 | 4 | 0 | 0 | 18:2 | 8 |
| კანადა | 4 | 2 | 0 | 2 | 8:8 | 4 |
| აშშ | 4 | 0 | 0 | 4 | 5:21 | 0 |

ფინალისტის გამოსარკვევად ერთმანეთს შეხვდნენ მექსიკისა და კოსტა-რიკას გუნდები, სადაც გაიმარჯვეს მექსიკელებმა (მატჩების ანგარიშია 2:0 და 1:1).

აზიასა და აფრიკაში შექმნილი იყო 4 ქვეჯგუფი, მაგრამ აქ მოხდა ნამდვილი „აღმოსავლური არეულობა“. თურქეთმა უარი განაცხადა თამაშებზე, კიპროსი არ გამოცხადდა მატჩებზე ეგვიპტესთან და, ბოლოს, არც ერთმა სახელმწიფომ პოლიტიკური მოსაზრების გამო არ ისურვა თამაში ისრაელთან. ფიფა-მ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ ისრაელის დაშვება ფინალში ყოველგვარი თამაშის გარეშე არ შეიძლებოდა. ამიტომ ჩატარდა კენჭისყრა სხვა ჯგუფებში მეორე ადგილებზე გამოსულ გუნდებს შორის და ვისაც ბედი გაუღიმებდა უნდა ორჯერ შეხვედროდა ისრაელს. ასეთი აღმოჩნდა უელსი, რომელმაც ორჯერ დაამარცხა ისრაელი — 2:0 და 2:0.

და აი 16 ფინალისტი გამოვლინდა. 8 თებერვალს სტოკჰოლმში ჩატარდა მათი კენჭისყრა და გაირკვა 4 ფინალური ქვეჯგუფი: I. გფრ, არგენტინა, ჩეხოსლოვაკია, ჩრდილოეთ ირლანდია. II. საფრანგეთი, პარაგვაი, იუგოსლავია, შოტლანდია. III. შვეცია, მექსიკა, უნგრეთი, უელსი. IV. ავსტრია, ბრაზილია, სსრ კავშირი, ინგლისი.

8 ივნისს შვეციის სხვადასხვა ქალაქში შედგება ფინალის პირველი მატჩები. მანამდე ყველა ზემოხსენებული გუნდი აწარმოებს ინტენსიურ მზადებას და რამდენიც არ უნდა ასახელონ პროგნოზის მოყვარულებმა თავიანთი ფავორიტები ჩემპიონობის კანდიდატად, ყველა ფინალისტს იმედი აქვს დაამთავროს ჩემპიონატი ჟიულ რიმეს თასით ხელში.

**რ. ქორიძე**







**რედაქტორი Ი. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ულბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3 89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. უე 00616